

## „დემოკრატიის ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით“: საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება ლიბიაში

2022 წლის 5-დან 11 სექტემბრამდე, ALDA-ს გენერალურმა მდივანმა, ანტონელა ვალმორბიდამ, ALDA-ს ტრენერ ანა დიტასთან ერთად ჩაატარა კურსი „დემოკრატიის ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით“, განსაკუთრებული აქცენტით ლიბიის რეალობაზე.

პროექტის [REBUILD](#) ფარგლებში, განხორციელებული კურსის „ტრენერების ტრენინგი“ (ToT), სამიზნე აუდიტორია იყო ათი(10) უნივერსიტეტის ოცი (20) პროფესორი ლიბიის ათი (10) სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ და ხელმძღვანელობს [ტრენტოს ავტონომიური პროვინცია](#).

უფრო დეტალურად, კურსი (ToT) მოიცავდა სამ (3) სხვადასხვა მოდულს:

1. გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ეთიკა და კარგი მმართველობა;
2. კრიზისის მართვა;
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის სტრატეგიები და ინსტრუმენტები.

„ტრენერების ტრენინგის“ (ToT), სამიზნე აუდიტორია იყო ათი (10) უნივერსიტეტის ოცი (20) პროფესორი ლიბიის ათი (10) სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან

მონაწილეები კრიზისის მართვისა და რისკების შეფასებაზე მუშაობისას ხელმძღვანელობდნენ [„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით“](#). ჩაერთვნენ დებატებში და შეისწავლეს კარგი ადგილობრივი მმართველობის თავისებურებები და პრინციპები.

გარდა ამისა, ტრენინგზე განხილულ იქნა [სამოქალაქო მონაწილეობის](#) სხვადასხვა საფეხურები, ეფექტურობისთვის სასარგებლო პრინციპები და ინსტრუმენტები.

საერთო ჯამში, ტრენინგი ინტერაქციული ხასიათის იყო, თეორიულ ცოდნას განამტკიცებდნენ ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაოებით, როლური თამაშებით, შემთხვევის შესწავლით, საველე ვიზიტებით. ოცი (20) პროფესორი, რომლებიც ჩაერთნენ ტრენინგში, ახლა მოუთმენლად ელიან ჩაატარონ ტრენინგი თავიანთ მუნიციპალიტეტებში.

ტრენინგი ჩაატარა ALDA-მ კაიროსში (ტუნისი), [საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრთან](#) (ტრენტო - იტალია) პარტნიორობით.